მალდივის კუნძულები

გსმენია რამე მალდივის კუნძულებზე? წაიკითხე ტექსტი და ბევრ საინტერესო ინფორმაციას გაიგებ.

მალდივის კუნძულები ინდოეთის ოკეანეშია. ცოტა კი არ არის – 1190 კუნძულია. პლაჟებზე ყვითელი **ქვიშაა**. იქვე იზრდება მწვანე პალმები. ეს კუნძულები ძალიან ლამაზია.

მალდივი ერთ-ერთი დაბალი ადგილია დედამიწაზე. იგი აზიის ყველაზე პატარა ქვეყანაა. სულ 300 000 ადამიანი ცხოვრობს. აქედან 70 000 უცხოელია. ხალხი მხოლოდ 185 კუნძულზე არის დასახლებული. ბევრ კუნძულზე კი სასტუმროები და კაფეებია ტურისტებისთვის.

მალდივის კუნძულებთან **საუკეთესო** ადგილებია წყალქვეშა ცურვისთვის. ნაპირთან ახლოს წყალში 2000-ამდე სახეობის ზღვის ცხოველი თუ თევზი ბინადრობს.

ბოლო 100 წლის განმავლობაში წყალმა კუნძულებზე 2 სმ-ით აიწია. ასე თუ გაგრძელდება, მალდივი შეიძლება წყლით დაიფაროს. ეს კი ყველასთვის ცუდი იქნება. თუმცა ჯერ საშიში არაფერია, ამიტომ იქ ყოველ წელს ბევრი ტურისტი ჩადის.

ტექსტი გადამუშავებულია ბაკურ სულაკაურის „მსოფლიო საოცრებების“ მიხედვით.

რა გაიგე საინტერესო მალდივის კუნძულების შესახებ?

დონე: *B* *მარდაბავალი,* **კომპონენტი:** *მთავარი იდეა და დეტალები*

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რომელი წინადადება გადმოსცემს პირველი აბზაცის მთავარ აზრს?

ა) კუნძულების პლაჟებზე მწვანე პალმებია.

ბ) მალდივის 1190 კუნძული ინდოეთის ოკეანეშია.

გ) მალდივის სანაპიროებზე ყვითელი ქვიშაა.

2 მალდივის კუნძულებს პრობლემას უქმნის ის, რომ:

ბ) იქ 70 000 უცხოელი ცხოვრობს.

ა) იქ ძალიან ბევრი ტურისტი ჩადის.

გ) წყალმა კუნძულებზე 2 სმ-ით აიწია.

3 რომელი დეტალიდან ჩანს, რატომ მოსწონთ ტურისტებს წყალქვეშ ცურვა?

ა) მალდივის სანაპიროები ყველაზე დაბალი ადგილია.

ბ) წყალმა მალდივის კუნძულებზე 2 სმ-ით აიწია.

გ) მალდივის სანაპიროებთან უამრავი ლამაზი თევზია.

4 რომელი წინადადება გადმოსცემს ტექსტის მთავარ სათქმელს?

ა) მალდივის ბევრ კუნძულზე სასტუმროები და კაფეებია აშენებული.

ბ) მალდივის კუნძულები მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია.

გ) მალდივის მხოლოდ 185 კუნძულზე ცხოვრობს ხალხი.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. პლაჟებზე **ქვიშაა**.

   ა) ქვების დიდი გროვაა.

   ბ) ქვების დიდი ნატეხებია.

   გ) ქვების წვრილი ნამსხვრევებია.

2. კუნძულებთან **საუკეთესო** ადგილია წყალქვეშა ცურვისთვის.

   ა) ყველაზე დიდი. ბ) ყველაზე კარგი. გ) ყველაზე ღრმა.

2 დაავჯგუფეთ საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები.

ცოტა	უსაფრთხო
დაბალი	ბევრი
ახლოს	მაღალი
საშიში	შორს

▶▶▶ გრამატიკა

1 სწორი ფორმით დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვა.

იქ ყოველ (წელი)---------- ძალიან ბევრი ტურისტი ჩადის.

2 დაწერე სიტყვები მრავლობით რიცხვში.

ნიმუში: ქვეყანა – ქვეყნები.

1. უცხოელი – ----------. 2. სასტუმრო – ----------.

2. პალმა – ----------. 3. ოკეანე – ----------.

3 დაასრულე სიტყვები.

1. <u>პლაჟებ. . .</u> ყვითელი ქვიშაა.

2. <u>ნაპირ. . .</u> ახლოს წყალში 2000-ამდე სახეობის ზღვის ცხოველია.

გრამატიკა

4 **დაწერე ნიმუშის მიხედვით.**

ნიმუში: დაბალი – უდაბლესი (ყველაზე დაბალი)

1. ლამაზი – ---------- (ყველაზე ლამაზი)
2. დიდი – ---------- (ყველაზე დიდი)

წერა

1 **ამოიწერე მალდივის კუნძულების მახასიათებლები და შეავსე სქემა.**

სად არის	
მოსახლეობა	
პლაჟები	
ბუნება	
წყალქვეშა ცურვა	
პრობლემა	

2 **დაწერე მოკლე ტექსტი შენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო ადგილის შესახებ. ურჩიე მკითხველს, რატომ უნდა ნახოს ეს ადგილი.**